

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
 ფინანსური ანგარიშგების დამატებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8
5. ძირითადი საშუალებები	9
6. მარაგები	9
7. შემოსავალი	9
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	9
9. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	10
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები	10

შპს „პოლიმერ პლასტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	7	3 207 544	2 763 312
თვითღირებულება		(2 394 152)	(2 237 120)
საერთო მოგება		813 392	526 192
სახელფასო დანახარჯი		(373 358)	(292 274)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	8	(373 335)	(229 899)
მიწოდების დანახარჯები		(4 330)	(5 295)
ცვეთა და ამორტიზაცია		(54 425)	(66 818)
სხვა შემოსულობები		603	4 214
მთლიანი სრული შემოსავალი		8 546	(63 880)

დადასტურებული და ხელმოწერილი 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი წიკლაური

გ. წიკლაური



შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პოლიმერ პლასტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	218 980	268 375	331 452
არამატერიალური აქტივები		1 430	1 682	587
სულ გრძელვადიანი აქტივები		220 409	270 057	332 038
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	67 447	6 795	31 317
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		950 224	1 019 499	993 735
მარაგები	6	708 708	300 085	312 141
საგადასახადო აქტივები		92 059	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 818 438	1 326 380	1 337 192
მთლიანი აქტივები		2 038 847	1 596 437	1 669 230
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		230	724 340	9 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(5 818)	(14 363)	49 517
		(5 588)	709 977	58 517
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		329 769	329 769	243 676
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1 714 666	462 437	1 283 950
საგადასახადო ვალდებულებები		-	94 255	83 087
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 044 435	886 461	1 610 714
მთლიანი ვალდებულებები		2 044 435	886 461	1 610 714
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 038 847	1 596 437	1 669 230

დადასტურებული და ხელმოწერილი 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი წიკლაური



შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პოლიმერ პლასტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	9 000	49 517	58 517
წმინდა მოგება	-	(63 880)	(63 880)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(63 880)	(63 880)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	715 340	-	715 340
2018 წლის 31 დეკემბერი	724 340	(14 363)	709 977
წმინდა მოგება	-	8 546	8 546
პერიოდის სრული შემოსავალი	-	8 546	8 546
საწესდებო კაპიტალის შემცირება	724 110	-	724 110
2019 წლის 31 დეკემბერი	230	(5 818)	(5 588)

დადასტურებული და ხელმოწერილი 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი წიკლაური

გ. წიკლაური



შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	8 546	(63 880)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის	54 425	66 818
- ცვეთა	54 425	66 818
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	726 568	(824 054)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	69 275	(25 765)
- მარაგები	(408 623)	12 056
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 252 230	(821 513)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(186 314)	11 168
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	789 539	(821 116)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(4 777)	(4 837)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 777)	(4 837)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(724 110)	715 340
- სასესხო ვალდებულების ზრდა		86 092
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(724 110)	801 432
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	60 651	(24 521)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	6 795	31 317
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	67 447	6 795

დადასტურებული და ხელმოწერილი 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - გიორგი წიკლაური

გ. წიკლაური



შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პოლიმერ პლასტი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 406126552, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2014 წლის 03 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ისან სამგორის რ-ნი, ქიზიყის ქ.13

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება. პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2017წლიდან 2019 წლის მდგომარეობით „კომპანიის“ 100% წილს ფლობს დამფუძნებელი ლაშა კიტია. კომპანიის დირექტორი არის გიორგი წიკლაური. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 29 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი პერიოდის განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განაგრძოს საოპერაციო საქმიანობა მომავალში.

„კომპანიის“ მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება მეორედ. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი „კომპანიისთვის“ არის 2018 წლის 1 იანვარი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი შედგება ნაღდი ფულისგან და ფული საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა. „კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები. სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას. შემდგომში მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ხარჯების ოდენობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს მოხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გადახედვა, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თანხები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში მოხდება მნიშვნელოვანი დანაკარგის დაუყოვნებლივ აღრიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების ზარალი მაშინვე აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და აღრიცხვის მოდელი. ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთასშორის სხვაობით.

დანახარჯები ძირითად საშუალებების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება, მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქცია-განახლებაზე კაპიტალიზდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ცვეთა. ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები სამშენებლო ტექნიკა	5
მანქანა-დანადგარები	5
შენობა - ნაგებობები	20

შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, საწყისი აღიარებისას, წარმოადგენს გარიგების ფაქტობრივი ფასის ოდენობას.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავლის აღრიცხვა. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი სავაჭრო მოგების, ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც „კომპანია“ მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს და მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე.

კონტრაქტით მიღებული მოგება და კონტრაქტისთვის გაწეული ხარჯები აღიარებულია როგორც მოგება და ხარჯი კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის დასრულების ეტაპზე, საანგარიშო თარიღისთვის, როდესაც შესაძლებელია კონტრაქტის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა. შედეგების საიმედო შეფასებისთვის საჭიროა დასრულების ეტაპის და სამომავლო ხარჯების ზუსტი და საიმედო შეფასება.

მოცემული პერიოდისთვის აღსარიცხი თანხის განსაზღვრის მიზნით „კომპანია“ იყენებს შესრულებული სმუშაოსა და ამ შესრულებულ სამუშაოზე გაწეული ხარჯების აღიარების მეთოდს.

სახელფასო ხარჯები და სხვა შენატანები. ხელფასები, საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სხვა შეღავათები დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლებზე მოხდება ანაზღაურება მათ მიერ შესრულებული შესაბამისი მომსახურებების გაწევაზე. „კომპანია“ არ გაწევს პენსიების გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდების განაწილება კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში აღირიცხება როგორც ვალდებულება კომპანიის მფლობელის მიერ დივიდენდების დამტკიცების პერიოდისთვის.

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11 286	1 138
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	55 263	5 658
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	898	-
	67 447	6 795

შპს „პოლიმერ პლასტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო და სხვა საშუალებები	ჯამი
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	275 981	13 228	786	41 456	331 452
შესყიდვა	229	2 697	564	-	3 490
გასვლა	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	55 219	2 870	186	8 291	66 566
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	220 991	13 055	1 165	33 165	268 375
შესყიდვა	325	1 650	2 803	-	4 777
გასვლა	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	44 258	2 779	503	6 633	54 173
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	177 058	11 926	3 464	26 532	218 980

6. მარაგები

	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	9 595	6 819
ნედლეული და მასალები	594 679	190 625
მზა პროდუქცია	104 434	102 642
	708 708	300 085

7. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონლის რეალიზაცია	983,958	613,540
მიწის რეალიზაცია	-	758,498
მომსახურების რეალიზაცია	429,560	772,486
სულ შემოსავალი	1,413,518	2,144,524

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შრომის ანაზღაურება	136,356	206,223
ცვეთა და ამორტიზაცია	96,840	66,463
რემონტის ხარჯი	4,424	7,281
კომუნალური ხარჯი	70,871	54,774
ბანკის მომსახურება	10,306	2,000
სესხზე დარიცხული ჯარიმა	183,587	46,807
იჯარის ხარჯი	29,834	68,821
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	7,318	13,959
კომუნიკაციის ხარჯები	1,297	3,990
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	540,833	470,318

შენიშვნები 6-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მხოლოდ ლარში.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.